№ 27

პარასკევი, 6 თებერვალი, 1898 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 8 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 9 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1898

# ივერია

№ 27

პარასკევი, 6 თებერვალი, 1898 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## ქართული თეატრი

კვირას, 8 თებერვალს,

ბენეფისი

რეჟისორის კ. ს. მესხისა

ქართულის დრამატიულის დასისაგან ქ-ნ ე. ს. მესხის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

═ პირველად ═

### ა. კაზაიან

დრამა 5 მოქმ. გადმოკ. სუმბათოვის დრამიდგან მობენეფისეს-მიერ

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ეფ. მესხისა, ჩერქეზიშვილისა, გამყრელიძისა, გარგარელი, გარელისა, რჩეულოვისა; ბ ნნი აბაშიძე, მესხი, გედევანოვი, გამყრელიძე, შათირიშვილი, კარბელი, გვარამაძე და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ

რეჟისორი **კ. მესხი.**

## მთავრობის განკარგულებანი

—

დანიშნულ იქმნა: ტფილისის გუბერნიის, კობლიანის სატყეო ნაწილის მე-III ხარისხის ტყის უფროსი, ტიტულიარნი სოვეტნიკი ჩაჩიკაშვილი—იმავე ნაწილის მე-II ხარისხის ტყის უფროსად.

## ახალი ამბავი

—

*** გუშინ წინ, 4 თებერვალს, ქალაქის საბჭოს კრებაზედ, წაკითხულ იქმნა გამგეობის ვრცელი მოხსენება ქალაქის ქუჩების მოკირწყვლის, დასუფთავების და საზოგადოდ საუკეთესოდ შენახვის შესახებ. რადგანაც ამ საგნის განხილვა საბჭომ შემდეგის კრებისათვის გადასდო, ჩვენც ამ კრების შემდეგ დაწვრილებით გავაცნობთ მკითხველებს ამ პროექტს. ეხლა ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ამ პროექტის ძალით აწინდელი წეს-რიგი ქუჩების მოკირწყვლისა, დასუფთავებისა და შენახვისა სრულიად იცვლება. პროექტის განხორციელებას, გამგეობის გამოანგარიშებით, დასჭირდება სულ 1,078,000 მან. მოხსენების წაკითხვის შემდეგ საბჭომ განიხილა გამგეობისავე მოხსენება ძროხისა და ცხვრის ხორცის ნიხრის მიმატების შესახებ. ძროხის ხორცი აქამდის ღირდა გირვანქა—7 კაპ., ცხვრისა 8 კაპ. საბჭომ თითო კაპეიკი მიუმატა, ე. ი. ძროხის ხორცი 8 კაპ. გახადა, ცხვრისა—9 კაპ.

*** ქალაქის მოურავი გ. გ. ევანგულოვი მომავალ კვირიდგან შეუდგება თავისს თანამდებობის აღსრულებას.

*** 3 თებერვალს ყრილობა ჰქონდათ ავლაბრელებს და დაადგინეს, ამოვირჩიოთ რამდენიმე კაცი, რომელთაც უნდა იშუამდგომლონ საბჭოს წინაშე, რომ ავლაბარში ცხენის რკინის გზის ლიანდაგის გაყვანის საქმე მალე იქმნას სისრულეში მოყვანილიო. იქვე ხელის მოწერა გაუმართავთ ხსენებულ გზის გასაყვან ფონდის შესადგენად და ჯერ ჯერობით 50,000 მან. მოუგროვებიათ.

*** კომისია, რომელიც გუბერნატორის მიერ ქალაქის გამგეობის იმ განყოფილების სარევიზიოდ დაარსდა, რომელიც წყლის მილებს განაგებს, პარასკევს, 6 თებერვალს, ს. ავჭალაში მიდის ქალაქის წყლის მილების დასათვალიერებლად.

*** გაზ. „ახ. მიმ“. ბაქოდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ დღეს, 3 თებერვალს, კენჭი იყარეს ქალაქის გამგეობის წევრობაზედ ბ-ნმა საფაროვმა და ადლერბეგმა (პოლიცმეისტრად ნამყოფია) და ორივეს 23 თეთრი კენჭი ამოუვიდათ და 28 შავი. ახალი არჩევანი დანიშნულ იქმნა ხვალისათვისაო.

*** გაზეთ „კავკაზს“ პეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ გამოქვეყნებულ იქმნა კანონი სახელმწიფო პალატების დაარსების შესახებ: ქუთაისის გუბერნიისა და სოხუმის, ბათუმის და ართვინის ოლქებისათვის ქ. ქუთაისში, ყუბანის ოლქისა და შავის ზღვის ნაპირის გუბერნიისათვის—ქ. ეკატერინოდარში, ერევნისა და განჯის გუბერნიებისა და ყარსის ოლქისათვის—ქ. ერევანში. ამ კანონის ძალით ზაქათალის ოლქი, რომელიც აქამდის ბაქოზედ იყო მიწერილი, ტფილისს მიეწერება. ქუთაისისა, ერევნისა და ეკატერინოდარის სამაზრო ხაზინები საგუბერნიო ხაზინებად უნდა გადაკეთდეს.

*** გაზ. „ახ. მიმ.“ გორიდგან ატყობინებენ, რომ ამ ჟამად ხელახლა დაიწყეს მუშაობა მდ. ლიახვისა და ფშანის ნაპირების შესამაგრებლად მცხოვრებელთა წყალ-დიდობის დროს უზრუნველ საყოფელადაო. დიდ თოვლიანი ზამთარი მცირედ არ აზარალებს გორის მაზრის მცხოვრებლებს გაზაფხულებისათანავე და საჭიროა და სასურველი, რომ ხსენებულ მდინარეთა ნაპირების შესამაგრებლად დაწყებული მუშაობა მალე იქმნეს დამთავრებული.

*** ქ. გორი. გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა ბაგრატიონ დავითიშვილმა განიზრახა თავად-აზნაურთა კრებები ჰმართოს ხოლმე ამა თუ იმ თავად-აზნაურთა საჭირო საგნის შესახებ მოსალაპარაკებლად. პირველი კრება 2 თებერვალსა ჰქონდათ ქ. გორში. კრებას, რომელსაც 40 კაცამდე თავად-აზნაურობა დაესწრო, თავ. რ. შ. ერისთავი თავმჯდომარეობდა. თავ. ბაგრატიონ-დავითიშვილმა მოახსენა კრებას, რომ კარგი იქმნება პურის მაღაზიები დავაარსოთ თავად-აზნაურობისათვის ისევე, როგორც ტფილისის გუბერნატორად ნამყოფის თავ. გ. დ. შერვაშიძის თაოსნობით დაარსებულ იქმნა მთლად ტფილისის გუბერნიის მცხოვრებ გლეხთათვის, რომლის წყალობითაც გორის მაზრის გლეხებს, იმ ხორბალს გარდა, რომლებიც ბეღლებში აქვთ, 150000 მან. მოუგროვდათ და მთლად ტფილისის გუბერნიაში—1,000,000 მან. არის მოგროვებულიო. ამ აზრით საჭიროა, რომ თავად-აზნაურობამ თანხმობა განაცხადოს და მოსავლის შეგროვების დროს მცირე რამ გადასდოს და შეიტანოს სათავად-აზნაურო ბეღელში. თუ მხედველობაში მივიღეთ ის გარემოება, რომ მთლად გორის მაზრაში 1,200 კომლი თავად აზნაურობა სცხოვრობს, მაშინ ეჭვი არ არის, რომ მცირე ხნის განმავლობაში იმოდენა თანხას შევაგროვებთ, რომ შეგვეძლება სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი დავიარსოთ, სტიპენდიები ვიქონიოთ და სხვა.

კრებამ წინადადება მოიწონა, მხოლოდ ლაპარაკი იმან გამოიწვია, თუ რა გარდასახადი დაევალოს ყოველ თავადსა და აზნაურსაო. კრებას ზოგი ყოველ ოჯახზედ 4 ფუთ ხორბლის შეტანას ურჩევდა და ზოგი-კი სულზედ. ამნაირ თანხის დაარსების წინააღმდეგნიც იყვნენ, რადგან, თუ ერობაც შემოიღეს, მაშინ თავად-აზნაურობას დიდი გარდასახადი დააწვება უამი-

## ფელეტონი

—

### დღეობა

(მოთხრობა)

(შემდეგი *)

— ქა, ადამიანო! არ გეყურება? ადე, დაგიგვიანდება,—ხელის ჩმუგნით აღვიძებდა ქმარს მარიამი და თან თავისს ბალღებს გადახდილ საბანს ჰხურავდა და უსწორებდა დედობრივის მზრუნველობით და ასეთის ალერსიანის სიტყვებით: „უი, ნეტავი გამაქრო, რატო მოგხდიათ, ჩემო პატარა გვრიტებო, ჩემო მარწყვის კონა ანგელოზებო! რო გაჰცივდეთ და ავათ გამიხდეთ, რაღა მეშველება, უწინამც დღე გაუქრეს მაშინ დედათქვენს მარიამს, ჩემო სისხლნო და ხორცნო, ჩემო ველის ვარდნო დაიანო“!

— უჰ, რა მკვდარივით დამძინებია ე მუდრეგი!—თვალების ფშვნეტით და თავის ქექვით წარმოსთქვა ახლად გამოღვიძებულმა სოსიამ, დაიწყო ჩაცმა თავის აკონკილ-დაკონკილის ჯღანმანებისა ჹ თან გულ-მოსულად ლაპარაკობდა: მკვდარივით დამეძინება, კაცო, მა რა ეშმაკი და ქაჯი მომივა, განა ადვილია მიწის ჭიდილი ორმოც-დახუთმეტის წლის კაცისათვის! დილით საღამომდინ სუ თავზე გვადგა სულთა-მხუთავივით ი ოჯახ-ამოსაწყვეტი, ი სულ აკატებული და აძაღლებული, და „აბა, თქვენი ჭირიმე, ბიჭებო, გაისარჯენითო, სუ ამას ჩაგვჩიჩინებს ი საფლავ-ძაღლი, და იგრე ძალზე-უდივრათ გვამუშავებს, რო სუ ადუღებული სისხლის ხვითქში ვიწურებით და თითო კაცი დღეში თორმეტ-ცამეტ ვაზს ვაწვენთ ქვიანში, ხუმრობაა!.. ი ცოლ-შვილ ამოსაწყვეტი, ი კორკოტ და ი წანდილ-ძაღლი, ათასში ერთხელ სველასველა ლუკმას მაინც შეგვაჭმევდეს ყე, ცარიელა-გაფშატებული, ქერ ნარევა პურის ჭამით ღრძილები გვაქვს გადატყავებული და კუჭი გვაქ შეხუწუწებული. ღვინო-არყისას ხო სულსაც არ გვადენს. შვიდნი ძმანი-კი არიან, შვიდი ხატი, ჯვარი და სახარება გაუწყრეთ იმათ თავ-ტანს, რო ზღვის ოდენა დოვლათი და ქონება აქვთ, და მაგათზე ამოსაწყვეტი, მაგათზე ქვაწვია და კრიჟანგობით დამწვარ-დადაგული ურია-კი ღმერთს არ გაუჩენია ქვეყანაზე. დაუდგათ თვალი, ავი ძაღლებივით არც თითონა ჰჭამენ და არც სხვას აჭმევენ, მაგრამ ერთი დრო არავის შაჰრჩომია და არც იმათ შაჰრჩებათ: გაუმაძღარი თვალგული შავის სამარის მიწით ამოევსებათ და ავკაცობით მონაგრებულ სიმდიდრეს ათასი ვერანა ძაღლი და ღორი შაუჭამთ, გამჩენის მადლმა! ნეტავი სადილ-სამხრის რიგიანად ჭამას მაინც დაგვაცდიდესყე, ი მგლის მუცელში გასაძვრენი ქოფაკი, და დღეში ერთხელ მაინც პატახანა, ქრისტიანულად შეგვასვენებდესყე ქარის ამოსაღებათ, თორე სხვას ყველას ჯანი და სული გაჰვარდნოდა, ვინღა იჩივლებდა!.. მერე რათა, რისათვინ, რაზე კვდება კაცი: დღეში ხუთი შაურისათვინ, და ისიც ორმოს მონახვეტი, კიდი რვა აბაზიანი, ვაგლახი პური სამ მანათად დამაწერა იმ სამ სახარება გასაწყრომმა და ისიც მამასისხლური სარგებლით!.. ფუ! საწყალი კაცის გამჩენს კი რა უთხრა!.. მაგრამ ეჰ, შვილოსა, გამჩენისა რა ბრალია, როცა დღეს ყველანი სადღეხვალიო ჯიბე-მუცელს ემსახურებიან და საბოლოვო სულზედ კი აღარავინა ზრუნავს!.. ჩვენი შაძლებული გლეხ-კაცისთანა ღარიბი ადამიანის შაუბრალებელი, დამხრჩობი და ამოსაწყვეტი ქვაწვია-ურია ენგიდუნიაზედაც არ იქნება, და აბა შენი მოძმე რო ეგრე შაუბრალებლად გატყავებდეს, გჭამდეს და გხრავდეს გაჭირებულს, სხვა რაღას არ გიზავს და რაღაში დაგინდობს!.. ჰეე, შენ დაილოცე, უფალო, რატო ერთხელ არ გადმოიხედავ ქვეყანაზე და არ დაინახავ, რამოდენა ქვეყნის ცოდვის მჭამლები ირევიან დუნიაზე, და რატო ერთი სულ-მართალი, გულ-ძლიერი და ჭკვა-მადლიანი კაცები არ გაგვიჩინე, რო ჩაეხედნათ ჩვენი გაჯოჯოხეთებული ცხოვრების ჭირ-ვარამში, დაჰთუთქოდათ გული ღარიბ-საწყლების სიბრალულით და ეხსნათ ჩვენი საწყალ-საცოდავი თავი ხალხი-ჭამია ორფეხა მგელკაცებისაგან!..

— ი დაავსოს, დაავსოს აიგეთი უცოდო-მადლო ურია-უტიების კომლობა ჩვენთვის წამებულმა და ჯვარცმულმა იესო-ნაზარეველმა, ძე ღვთისა მაცხოვარმა და წმიდა დედა-ღვთის მშობელმა, ქალწულმა მარიამმა! ვსთხოვ ჩემის ცოდვილის ენა-პირით ქვეყნის გამჩენს და დამდგენს ყოვლად ძლიერ მამა-უფალსაც, რო დიდმა მთის აღრიალებულმა, აღელვებულმა და აზღვავებულმა ღვართქაფმა გაბრაჰტოს, წაიღოს და წანაშოს უგზო-უკვლოდ თავიან-ცოლშვილიანად იმათთანა საწყლების ჭამია უსულღმერთო ქართველებიც, რო აღარსად დაიხეთქოს იმათმა თესლის განაგისმა ქვეყანაზე ჩვენითანა კარგ-უნახავი, საწყალ საცოდავი ხალხის სიცოცხლის გასაჯოჯოხეთებლად!.. გულ-გამეხებით წარმოსთქვა სოსიას ჯალაბმა მარიამმა და კურტან-დადგმული ვირი გაბრაზებული ცემა-ტყეპით გამოაგდო სახლიდგან, რადგანაც ტყეში-მავალი მევირე დიდის ხმით ჰყვიროდა სოფლის შარაგზიდგან:

— ვირები! ვირები გამორეკეთ, ხალხოოო!..

სოსიამ საჩქაროდ მოიბანა პირი ცეცხლა-პირას, მოიმშრალა ფარაჯის კალთით, აიღო ბარ-ნიჩაბ-წერაქვი და გამოვიდა ქოხიდგან.

— ქა, ადამიანო, ე, არ გეყურება? ი დაგაყრუოს მამიჩემი სალოცავმა!—მისძახოდა მარიამი.

— რა იყო, დედაკაცო, რა მეგელანდა? შეეკითხა ეზოში შემდგარი სოსია.

— არ დაგავიწყდეს: კიდე უთხარ, შეეხვეწე, შეემუდარე ი ქოქ-გასაქრობ სარქისას, გვასესხოს დღეობისათვინ ერთი შვიდიოდე მანათი, თორე შავრცხვებით და ბარემ ცოცხლები არ ვიყვნეთ ის გვირჩევნია.

— კარგი, კარგი! უგულოდ უპასუხა სოსიამ.

— კარგი, კარგი-კი არა, თუ გულიანად არ მეეჭიდე, რასაც გეუბნები და სადმე არ იშოვნი დღეობისათვინ ფულს, თვალით ნუღა დამენახვები, ნუღა, ნუღა, შე ამოწყვეტი-

*) იხილე „ივერია“ № 26

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოდაცაო. ბოლოს კრებამ ერთ-ხმად დაადგინა: ვთხოვოთ თავად-აზნაურთა წინამძღოლს, ვისაც ამოირჩევს, იმათთან ერთად სათავად-აზნაურო თანხის დაარსების შესახებ პროექტი შეიმუშავოს და თავად-აზნაურთა საგანგებო კრებას წარუდგინოს განსახილველადაო. დასასრულ კრებამ დაადგინა შუამდგომლობა დაიწყოს იმის შესახებ, რომ მამულის პატრონთ თავად-აზნაურთ კვლავ უფლება ჰქონდეთ სახელმწიფო ბანკიდგან სესხის აღებისა თავიანთის უძრავის ქონებით ამ სესხის უზრუნველ-ყოფით, როგორც ეს შესაძლებელი იყო 1897 წლის 1 აგვისტომდეო („ტ. ფ.“)

⁂ ქ. ქუთაისი. გათენდება თუ არა, მახლობელ სოფლებიდგან ჩამოდიან აქ 10—13 წლის ბავშვები და დახეტიალობენ ამ დღე ქუჩაში. ბევრი მთელის კვირაობითა და თვეობით დადის ქუჩებში, არავინ იცის, რით ირჩენს თავს და სად ათევს ღამეებს. სწორედ საკვირველია ამ მცირე წლოვანების ყოფა-მდგომარეობის საქმე. ნუ თუ პატრონი არა ჰყავთ, რომ აუკრძალონ ასე მუდამ ჟამს წანწალი და რამე ხელობაზედ მაინც არის მიიყვანონ და თუ უპატრონონი არიან, მაშინ რაღას აკეთებენ წესიერების დამცველნი და ჯეროვან გზას არ უჩვენებენ გზა-დაბნეულ ცხივართ?!

⁂ ქ. ფოთი. თუმცა ბევრსა სცდილობენ ჩვენის ქალაქის სისუფთავე-სილამაზისთვის, მაგრამ არიან ჯერ კიდევ აქ ისეთები, რომელნიც ყოველ გვარ სისუფთავეს განზედ უხტიან. მიხეილის ქუჩაზედ ტერ-შმოვანოვის 13 ერთ სართულიანი დუქანია გაქიმული და კარგ ფასებში გაქირავებული. დუქნების წინ კიდევ არა უშავსრა ქუჩას, მაგრამ უკან-კი, ვერ წარმოიდგენთ, რა ნაირადაა არეული ერთმანეთში ყოველ-გვარი უსუფთაობა. აქა ჰღვრიან სარეცხის წყალს, დაკლულ პირუტყვისა თუ ფრინველის სისხლს, ყოველ-გვარს ძვლებს, მკვდარ ფრინველს და აქვეა ფეხის [illegible]ილებიც.

⁂ სოფ. დიდი-ჯიხაიში, (ქუთაისის მაზრა). შარშან ენკენისთვიდგან აქაურ ორ-კლასიან ნორმალურს სასწავლებელთან დაარსდა საბაღოსნო განყოფილება, რომლის შესანახადაც ხაზინამ მუდამ წელს 1,000 მან. უნდა აძლიოს. სასწავლებელში 230 ყმაწვილი სწავლობს და მასწავლებლებად 7 კაცია მოწვეული. აქვე არსებობს ერთ კლასიანი საქალებო და ერთ-კლასიანი სამრევლო სასწავლებელი, შემნახველ-გამსესხებელი კასსა და სხვა... მუდამ წელს ორჯელ სამჯერ წარმოდგენებიც იმართება საქველ-მოქმედო აზრით. ერთის სიტყვით ეს სოფელი წინ სვლის გზას ადგია.

⁂ ბათუმი. 4 თებერვალს, შუადღის 4 საათზედ, საქონლის მატარებლიდგან გადმოვარდა კონდუქტორი ესანოვი, ვაგონებს ქვეშ მოჰყვა და იქვე სული დალია.

⁂ სუფსა. 1 თებერვალს, ღამის 10 საათსა და 3 წუთზედ, სახალხო მატარებლის ქვეშ უცაბედად ჩავარდა რკინის გზის ლიანდაგზედ მიმავალი იასონ ჰყონია და ფეხი მოსწყვიტა მატარებელმა. ჰყონია, ნათესავებმა სოფელში წაიყვანეს.

⁂ სოფ. სურები, (გურია). ამ ზამთარმა დიდად ისახელა თავი თოვლით მთელ გურიაში. მაგრამ სურები-კი მეტად დაჯილდოვა მისი სიუხვით—ხუთ არშინამდის დასდო თოვლი. ეს საკვირველი არ არის სურების მკვიდრთათვის, რადგანაც მეტის მნახველნიც არიან. სურები მდებარეობს მდინარე სუფსის სათავეში, უმაღლესი ადგილია მთელ გურიაში, იქ უმთავრესად სამწუხარო ის არის, რომ შინაური პირუტყვისთვის საკვები არა აქვთ მკვიდრთ. აქეთ ეს ერთი კვირაა, მშვენიერი დარი სდგას; ამ თოვლიდიდობის დროს მონადირენი კარგად ატარებენ დროს ნადირობით გაიკვირვებთ, როგორ ივლის კაცი ტყეში სანადიროდ ასეთს თოვლშიო. ხისას აკეთებენ ფეხზედ დახლართულს დასაკრავს, რომელსაც „თხილამურს“ უწოდებენ, ამ „თხილამურით“ ადვილია თოვლზედ სიარული, თხილამური თოვლში ღრმად არ უშვებს კაცს და ასე ნადირობენ. ოც-დაათამდის მოკლეს დათვი და სხვა წვრიმალ ნადირს ხომ ანგარიში არა აქვს.

⁂ გონჩარის ქუჩის მეონკანე ტყემალაძემ ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელს გამოუცხადა, რომ მე-8 საპოლიციო ნაწილის მოსამსახურეთ კოჩკინმა და სტრელცევმა ძლიერა მცემეს, რადგან წყალი მუქთად არ დავანებეო. ონკანთან ტყემალაძის ცემით რომ გაჯერებულან, პოლიციაში წაუყვანიათ, წაუქცევიათ იატაკზედ და ხელ-ახლად დაუწყიათ ცემა. აქვევ ყოფილა ბოდაგოვი, რომელსაც დაშლის მაგიერ, თითონვე მიჰშველებია გააფთრებულს კოჩკინსა და სტრელცევს. გამოძიებამ ყოველივე ეს დაამტკიცა და ქალაქის გამგეობას განზრახვა აქვს უჩივლოს დამნაშავეებს.

⁂ ტფილისის ქალაქის გამგეობამ მეორე ღამის თავშესაფარის მოსათავსებლად უკვე იშოვა სადგური და იქირავა წელიწადში 700 მან. პოლიციის მეათე ნაწილში, ელისაბედის კუჩაზედ, პოლლაკის სახლებში. ამ ჟამად სადგურში შესაფერ მოწყობილობასა სდგამენ და თავ-შესაფარი თებერვლის 15-დგან დაიწყებს მოქმედებას. ქალაქის პირველ ღამის თავშესაფარში, რომელიც ვარანცოვის ქუჩაზეა, 3 თებერვალს 119 კაცს გაუთევია ღამე. უადგილობისა გამო 5 კაცი არ მიუღიათ.

⁂ ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაციის მიერ შუამდგომლობაა აღძრული იმის შესახებ, რომ კარგი იქნება ბათუმიდგან რამდენიმე უზნეო ყოფა-ქცევის კაცი გადასახლებულ იქმნასო.

⁂ ტფილისის მოქალაქის კარაპეტა მელქუმოვის საქმეს, რომელსაც ძმის ბაგრატ მელქუმოვის მოკვლა ჰბრალდება, ტფილისის ოლქის სისხლის სასამართლოს პირველი განყოფილება 23 თებერვალს განიხილავს.

⁂ თელავი. 31 იანვარს, საღმოს 8 საათზედ, ქალაქის გამოჩენილ ადგილას ვიღაც ყასაბმა მძიმედ დასჭრა აქაური მცხოვრებელი გიორგი ვართანოვი. თუმცა ეს ამბავი პოლიციის თვალ-წინ მოხდა, მაგრამ დამნაშავემ მოასწრო დამალვაო.

## პატარა საუბარი

საკვირველი კაცია ჩვენი პატივცემული თ. აკაკი წერეთელი. იტყვი რასმე იმაზე, ჰჯავრობს და არ იტყვი, ამაზედაც სწყრება. იქნება შემთხვევა მოგვეცეს და ჩვენ ამ უცნაურს ამბავს როდისმე მოვუბრუნდეთ, ეხლა-კი ამას ვიტყვით, რომ გუშინ „ცნობის ფურცელში“ მწარედ შემოუტია ჩვენს თეატრის მემატიანეს, რომელმაც გაჰბედა დ დაუწუნა კომედია „ხანის ვეზირი“, რომლის ავტორად იყო გამოცხადებული თ. აკაკი.

ეხლა ჩვენი პატივცემული პოეტი იძახის დიდის საყვედურით, რომ ეგ პიესა ჩემი არ არის, მე იგი სიტყვა-სიტყვით ვთარგმნეო და „ივერიის“ მემატიანე-კი მე მაწერს, ვითომც ჩემი საკუთარი პიესა იყოსო.

კარგი და პატიოსანი. გვჯერა ეს ახალი ამბავი თ. აკაკისა, ხოლო ამ ძველს ამბებს რაღა ვუყოთ, რომ ყველა გაზეთებში გამოცხადებული იყო, ვითომც ეგ პიესა თ. აკაკის საკუთარი პიესაა და ეს ამბავი წარმოდგენამდე თავისუფლად დასეირნობდა გაუსწორებლად. მაგალითებრ, ივერიაში ასეა გამოცხადებული რეჟისსორისაგან: „ხანის ვეზირი, კომედია 4 მოქმედებად აკაკი წერეთლისა“.

ვთქვათ, „ივერიას“ არა დაეჯერება-რა, „ცნობის ფურცელშიაც“ ხომ ასეა გამოცხადებული: „ხანის ვეზირი, კომედია 4 მოქმედებად აკაკი წერეთლისა“.

ნურც „ცნობის ფურცელს“ დავუჯერებთ, ეს „Тифлисскій ЛистокЪ“-ი რაღაა (№ 25), საცა გამოცხადებულია: „Новая пьеса „Визирь Хана“, ком. въ 4-хъ дѣйств. А. К. Церетели“.

ამანაც თქვენი ჭირი წაიღოს, ეს „Новое Обозрѣніе“ (№ 4836), რაღაა, საცა გამოჭიმულია: „Сцены изъ новой пьесы „Визирь Хана“, ком. въ 4-хъ дѣйств. Ак. Церетели.

ესეც იქით მივაგდოთ, ეს „КавказЪ“-ი (№ 29) რაღაა, საცა გამოცხადებულია: „Сцены изъ новой пьесы Ак. Церетели „Визирь Хана“.

ვთქვათ, აქ ყოველგან ვიღაცამ უმტრო ბ-ნს აკაკის და ტყუილად დააბრალა ავტორობა ხსენებულ პიესისა, ეს რაღაა, რომ ცენზორთა კამიტეტში ეს პიესა წარდგენილია ამ სახით: „ხანის ვეზირი“. ოთხ-მოქმედებიანი კომედია თ. აკ. წერეთლისა. (სიუჟეტი გადმოღებულია)“ და იქვე რუსულად: „Визирь Хана“, комедія въ 4-хъ дѣйств. Кн. Ак. Церетели (сюжетъ заимствованъ.) ამისთანა ხელ-წარწერა ცენზორთა კამიტეტში წარდგენილ ხელნაწერზე ვის შეეძლო ბ-ნ აკაკის ნება-დაურთველად? და თუ ნება-დართული არ არის მისგან, ვინ ითაღლითა ესე მოურიდებლად?

აკი ვამბობთ, ვთქვათ, გაზეთებმა იტყუეს, რატომ ბ-ნმა აკაკიმ არ ინება ტყუილის გასწორება გაზეთებითვე, მინამ წარმოადგენდნენ „ხანის ვეზირს“? აქ ხომ ხელზე ვერავინ დაიხვევს არ. ვიცოდიო, რადგანაც ხუთს გაზეთში ერთი და იგივეა გამოცხადებული. ამაზე მეტი ბუკი და ნაღარა ხომ არ დაიწყებდა ყვირილს და რატომ მოუყრუა ბ-ნმა აკაკიმ ყური და მარტო მაშინ გასწყრა, როცა ეს ბუკნაღარა დაკრული ამბავი „ივერიის“ მემატიანემ გაიმეორა? რად მიუშვა ბ-ნმა აკაკიმ საქმე იქამდე, რომ გაზეთებს ასე გაებრიყვებინათ საზოგადოება და მისთვის ეკუთვნებინათ ის, რაც მას არ ეკუთვნოდა? ამისს პასუხს ჩვენ

---

ლო!.. გარისხებით დაემუქრა მარიამი.

— დააყე ე შხამიანი ენა, ადამიანო! მე უფრო შენზე მეტად გულს მეყრება, რო დღეობამ მოგვატანა და არა გვაქ-რა, მაგრამ ე გზაშიაც ეშმაკის ხურჯინივით ნუ გადამეკიდებიყე და ნუ მემუქრები, შე ოჯახ-ამოსაწყვეტო, შე ღვთის პირის მკაწრაო კაპარჩხინავ!.. წუხელ გათენებამდის ძაღლის ყბა გამიბი და არ დაჰდექ: მლანძღე, მწყევლე, მათრივე—ის არ გეყო, ეხლა რაღა გინდა, შე ენა-მყრალო შხამის გუდავ!.. დაგწყევლა გამჩენმა, სუ ალაზნის მორევივით როგო გერევა ე ბალყუმი გულ-მუცელი და სუ მარტის დღესავით როგო იქუშები და ჰპირბნელდები წამდაუწუმ!.. ფუ! ეგეთ სიცოცხლეს-კი რა ვუთხრა შენს ხელში!.. ნეტავი ერთი ჩავძაღლებულიყავ და დაგხწეოდი, შე წყეული ქაჯ ეშმაკების გენია-ჯოჯოხეთო!.. ფუი!.. გულ-ბრაზიანად გამოაფურთხა სოსიამ და გაუდგა თავისს გზას.

— შე დღე დასაკლებო დ პირქვე დასამარხაო, მა ი დღეობას რო მოგივლენ დასაძღომათ ათასი ალლაჯიჯიები, ხეთქვა ფხრეწა არ უნდათ იმათ?!. ი მეხი და მედგარი კი ჩაგა თხლიშე მა უფიქრელ თავში!.. გესლიან ისრებივათ შეტყორცნა ხირსის ვენახებისკენ მიმავალს ქმარს გააფთრებულმა მარიამმა, მერე მობრუნდა, ჩაუჯდა თავისს ჯარას და ისე აჩქარებულად დააწყებინა: „ღრუ, ღრუ, ღრუ!“-ობა, თითქოს ქმრის ჯავრს ჯარაზედ ჰყრილობსო.

მარიამმა დაანება ჯარას თავი და მოაყოლა გულ-დაწყვეტით ტირილი და თავისის თავის წყევლა-კრულვა. ასე იცოდა ყველთვის დამარტოვებულმა მარიამმა, როდესაც-კი გაკაპასებული, სიავსულით აღელვებული და ენა-გაალმასებული თავისს ქმარს აწყენინებდა რასმე, და ბოლოს სინიდისის მქენჯნავი სინანული გველივით კბენას დაუწყებდა ხოლმე დამცხრალს გულზე. დღესაც თითქმის ისევ მხურვალედ უყვარდა მარიამს გამრჯელი, ცოლშვილის დიდად მოსიყვარულე და ალალ-მართალი თავის ქმარი სოსია, როგორც ოც-და-ათის წლის წინ ახალ-პატარძლობაში, მაგრამ, როგორც საზოგადოდ ყველა დედაკაცი, მარიამიც საშინელი გულ-ანჩხლი იყო: უბრალო რამ საწყენი სიბრაზის ცოფით აგიჟებდა, ააფთრებდა, აკაპასებდა და ბრაზებით თავ-დავიწყებულს ათასს შხამ-გესლით გაჟღენთილს, მკვახე-მკვახე, გულ-ღვარძლიან სიტყვებს აროშინებდა წარა-მარად, თავის უნებურად; და როდესაც სიბრაზის ცოფი გადუვლიდა გულიდგან, დასცხრებოდა ნაქარიშხლევ ზღვასავით და გონს მოვიდოდა, მაშინ კი მოჰყვებოდა ხოლმე სადმე განმარტოვებული სინანულით ამ სიტყვებს: „რა ღმერთი გამიწყრა, რამ გამაცოფა, რამ გამაგიჟა, რა თვალები დამიდგა, რათ ვაწყენინე მე ენა-მოსატეხმა ჩემს პირველ გვირგვინის ქმარსაო! რამთენჯერ ავთქვი: ეხლა ღმერთი გამიწყრა, შავცდი, და ამას იქით კი თავის დღეშიაც აღარას ვაწყენინებ-მეთქი, და რატო ერთხელ ვერ ავასრულე აღთქმა, რატო ერთხელ ვერ მოვიშალე ე წყეული ხასიათის სიავსულე, მე ენა-დასადუნებელმა, მე დედა-მიწა გასახეთქმა და შიგ პირქვე ჩასამარხავმაო!.. და დაიწყებდა გულ-მდუღარე ქვითინს, ტირილსა და ცრემლის ღვრას. ამ ცოდვის მალვით მომნანიებელ მადლთან ის წყეული, დედა კაცური სიკერპე, სიჯიუტე და ქედ-მოუხრელი სიამაყეც სჭირდა მარიამს, რომ ბოდიშს არ მოიხდიდა ქმართან და არ ეტყოდა: დამნაშავე ვარ და მაპატიეო, მაგრამ ამ თავ-მოუხრელობის ცოდვასაც იმით ისყიდებდა და ინანიებდა მარიამი, რომ თავისი ორმოც-და თხუთმეტის წლის ქმარი სოსია კიდევ ახალგაზდურად, კიდევ ძლიერად უყვარდა და გატკბილ-ნაზებულის ალერსით და მხურვალე სიყვარულით ასულდგმულებდა დამჩაგვრელის სიღარიბის ათას ჭირ-ვარამისაგან მწარედ გატანჯულს სოსიას, რომელსაც თავის გულ-ფიცხობის მწარე ენით თითონაც ბევრჯელ უმწარებია და უტირებია ცხარე ცრემლით თავისს სიცოცხლეზედაც მეტად საყვარელი ცოლი მარიამი.

დიაღ, დღესაც ახალგაზდური, მხურვალე და მოტრფიალე სიყვარულით უყვარდა სოსიასაც თავის სახემოხდენილი, სანდომიანი ცოლი მარიამი, რომლის მწარე სიტყვისაგან გულ-ნატკენი, მართალია, თითონაც მწარე სიტყვების წამოსროლით ამწარებდა ათასში ერთხელ მარიამს, მაგრამ მერე-კი, როცა სამაგიეროს გადახდით გულ-მოოხებულს აპილპილებული გულ-ფიცხობა უნელდებოდა, თითონვე ნანობდა გულში: რათ ვაწყენინე ჩემს საყვარელს ცოლს, რომელმაც ერთი მწარე სიტყვა რო მითხრას გულ-ფიცხობის თავდავიწყებით, იმის სამაგიეროდ ათასს სასიყვარულო და ტკბილ-საალერსო სიტყვებს მეტყვის ხოლმე თითონვეო. როდესაც კი დედაკაცების სიავსულე სიკაპასე დ სიჯიუტე-სიკერპეზედ სიტყვა ჩამოვარდებოდა სოფლის კაცებში, მაშინვე ასე იოხუნჯებდა ხოლმე სოსია: „ეჰ, გული არ უნდა გაიტეხოთ, დედაკაცები სუ ემაგეთი გამჩენ—ძლი ხუდრუგიანები არიან მთელს დუნიაზეო. ჩემმა ალმასა დედაკაცმაც ემაგრე იცის: ერთ პატაწინა-უბრალო რამეზე გამიაფთრდება, გამიკაპასდება, ძაღლის ყბას გამაიბამს, მემრე გამიჯიუტდება, გამიწყრება, გამებუტება, და ბოლოს თითონვე შამრიგდება-ყე და მაგრა, ტკიპივით ჩამეკვრება-ყე გულშიო“.

მაშინ, როდესაც დაღისტნის ბუმბერაზ-მთის თოვლ-ყინვით გალესილ მწვერვალებზედ დაბჯენილი ცა-სამზეური მოახლოებულ მზის ამოსვლის სიხარულით ცეცხლის ალივით პრიალებდა და ლაპლაპებდა დიდებულად, სოსიას ერთი ბარის-პირი მიწა ამოეღო კიდეც ვაზის სამარიდგან, ძალზედ წელში წახრილი თავდიდა წერაქვს უბრაგუნებდა ხვნეშით ჩაკირულ ქვა-ჰოჭყას და თქრიალით ჩამოსდიოდა ოფლი შუბლიდგან. სწორედ ამ დროსვე ვალოდია გოგიტიჩ ჭამიაშვილი და მისი ბულკის ცომივით გაფუებული მეუღლე ეკატერინა ქაიხოსროვნა მოუსვენრად ტრიალებდნენ ქვეშაგებში და ზიზღით ჰკიცხავდნენ და აგინებდნენ გლეხ-ხალხის ცხოვრებას სოფლის ჟივილ-ხივილისაგან დილის ძილ-გამწარებულნი.

დ. მაჩხანელი

(შემდეგი იქმნება)

ვერ მივცემთ. უეჭველია, თუ საჭიროდ დაინახავს, თვითონ ბ-ნი აკაკი გვეტყვის და მინამდე ერთს რასმე კიდევ ვიკითხავთ: ეს ყველა-ყველა და იმ ხელნაწერს ზემოხსენებულ პიესისას, რომელიც წარდგენილი იყო ცენზორთა კომიტეტში, რად აწერია: „ხანის ვეზირი“, ოთხ-მოქმედებიანი კომედია თ. აკ. წერეთლისა (სიუჟეტი გადმოღებულია)? და თუ ეს აწერია, მაშ როგორღა ბძანებს ეხლა ავტორი, რომ ეგ პიესა ჩემი არ არის, სიტყვა-სიტყვით ნათარგმნიაო. ეხლა გვჯერა, რომ ნათარგმნია, მაგრამ ზოგიერთი მატრაკვეცა-კი გულში გაიტარებს, აქ ყოველ ამაში, ცოტა არ იყოს, სურვილი ბრჭყვინავს სხვისის პიესის დაჩემებისაო, თუმცა ჩვენ-კი ამაზე ძალიან შორსა ვართ და ბ-ნ აკაკის ამისთანაებს ვერ შევკადრებთ.

რა თქმა უნდა, ამ ორში ერთი მართალი უნდა იყოს, ხოლო რომელი ერთი? ის, რომ „ხანის ვეზირი“ ოთხ-მოქმედებიანი კომედიაა თ. აკ. წერეთლისა, თუ მისი არ არის, სიტყვა-სიტყვით ნათარგმნია? რა ნება გვაქვს არ დავუჯეროთ ბ-ნ აკაკის, რომელიც დღეს იძახის, ჩემი არ არის, ნათარგმნიაო. დაჯერებით ხომ გვჯერა, მაგრამ თვალთა ჭვრეტას როგორღაც ებუნდება, როგორღაც სჩხვლეტს ზედ-წარწერა იმ ხელნაწერზე, რომელიც ცენზორთა კამიტეტში წარდგენილია. გამოდის —ფიცი მწამს და ბოლო-კი მაკვირვებსო.

გვეუბნება ბ-ნი აკაკი: სუფლიორმა აკი გამოაცხადა თვით თეატრშივე, რომ ეს პიესა აკაკის დაწერილი ნუ გგონიათ, ავტორი დიდი ხანია მკვდარი არისო. „ეს, რასაკვირველია, ყველამ კარგად გაიგონა, მაგრამ უკუღმართი სურვილი ძნელიაო“, ბრძანებს ბ-ნი აკაკი: „კიდეც აბრმავებს და კიდეც აყრუებს ვნებით გატაცებულს კაცსაო“. მაშ ვნებით გატაცებული ვყოფილვართ, რომ განგებ თვალებს ვიხუჭავთ და ყურებში ბამბას ვიცავთ, როცა ვივიწყებთ ხუთს გაზეთში გამოცხადებულს ავტორობას ბ-ნ აკაკი წერეთლისას, ცენზორთა კამიტეტში ხელ-ნაწერზე წარწერას და ყოველ ამის უარს ვუჯერებთ ბ-ნ აკაკის და რომ ვუჯერებთ,—ეს ნამდვილია. განა ამისთანა ქება-დიდებას მოველოდდით ბ-ნ აკაკი წერეთლისაგან მარტო იმისთვის, რომ ყოველ ამაზე თვალებს ვიბრმავებთ, ყურებს ვიყრუებთ, თვალით ნახულს, ყურით სმენილს ჩაილულის წყალს ვასმევთ და ეხლა ყოველ ამის უარობას ვიჯერებთ მარტო იმ საპატიო საბუთით, რომ დღეს ბ-ნ აკაკის ავტორობაზე უარის თქმა უნებებია.

სუფლიორმა თეატრში სიტყვით გამოაცხადაო. ვთქვათ, ეს თეატრში მყოფთა გაიგონეს. გაზეთების გამოცხადებული რაღამ ჩააჩუმოს? ხელნაწერზე ზედ-წარწერა ვიღამ ამოფხიკოს? ეს ბუკითა დ ნაღარით რომ ქვეყანას მოეფინა, ავტორი პიესისა აკაკი წერეთელიაო, რამღა გააქარწყლოს? სუფლიორამდე სად ბძანდებოდა ბ-ნი აკაკი, როცა ხუთი გაზეთი ერთად მისს ავტორობას ჰღაღადებდნენ რეჟისსორის ნებართვითა? განა შეეძლო რეჟისსორს ასე გამოეცხადებინა, თუ რომ .. რაღა თუ რომ? მართალია ბ-ნი აკაკი: „უკუღმართი სურვილი ვნებით გატაცებულ კაცისა“ ძნელი ყოფილა.

საკვირველია, რომ მარტო ბ-ნ აკაკის შეემთხვევა ხოლმე ამისთანა ამბები, რომ მისს სახელს ასე ბოროტად ჰხმარობენ. ბ-ნმა სახოკიამ ერთხელ სამარცხვინო და სასალახანო ნაკვესები დაჰბეჭდა ბ-ნ აკაკის სახელითა და როცა ზოგიერთმა გაზეთებმა ეს სამარცხვინობა და სალახანობა შეჰნიშნეს, მარტო მაშინ გამოაცხადა ბ-ნმა აკაკიმ, ჩემი ნაკვესები არ არის და ბ-ნმა სახოკიამ ტყუილად ჩემის სახელით გამოსცაო. ნუ დაივიწყებთ, რომ ამ ნაკვესების ყდაზე ბ-ნ აკაკის პორტრეტიც კი იყო... ეხლაც სწორედ ესეთივე ამბავი შეემთხვა: გაზეთებში გამოცხადდა, რომ „ხანის ვეზირი“ მისი ახალი პიესაა, საცენზორო ხელ-ნაწერზედაც აწერია, რომ მისი პიესაა, თურმე ნუ იტყვით, მისი კი არ ყოფილა. საკვირველია, ესეც მაშინ გამომჟღავნდა, როცა პიესამ თავი ვერ მოაწონა მაყურებელთა. აბა როგორ ვიტყვით, რომ ბ-ნი აკაკი ყოველ ამაში რაიმე მონაწილეა, მაგრამ საკვირველი კია ესე ტყუპად, სხვა და სხვა დროს, შობილი ერთი შემთხვევაც და მეორეც, თუ თქვენც იტყვით. მრთლია, რომ ამ წუთის-სოფლის უკუღმართობა ძნელი რამ ყოფილა.

---

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ს. დილიკაური,** (შორაპნის მაზრა). ს. დილიკაური მთა-გორიანი ადგილია. ამ სოფელში ორასამდე კომლი მცხოვრებელია, მომეტებული ნაწილი აზნაურობაა. სიმდიდრით სხვა სოფლებთან შედარებით, შორაპნის მაზრაში ეს სოფელი წინა სდგას. ბუნებაც უმშვენიერესია. ამ სიკეთესთან აქაურ მცხოვრებთ ერთი დიდი ნაკლიცა აქვთ: სწავლა განათლებას არ ეტანებიან. წარმოიდგინეთ, ორას მცხოვრებს შორის ერთი იმისთანა კაცი არ გამოჩენილა, რომ ეთაოს ეს საქმე და უბრალო სამრევლო საეკლესიო სასწავლებელი მაინც დაეარსებინოს, თუმცა იგი დიდს საჭიროებას შეადგენს ყველასათვის. ამ სოფლის მღვდლებს, რომლის გალეც უფროა ამნაირ საჭიროებისათვის ზრუნვა, ხომ აზრადაც არ მოსვლიათ ასეთის ნაკლის თავიდგან აშორება. მათ შორის ერთი თითქმის ღრმად მოხუცებულია და მალა აღარ შესწევს ამისათვის იზრუნოს, მაგრამ მეორე, უმაწვილი კაცი, რაღას აკეთებს?! დასასრულ სწავლის გამო დილიკაურს მიუტოვებია) და სიშორის გამო წირვალოცვას ანუ სხვა მრევლის მოთხოვნილებას ძლივს ასრულებს, ნამეტნავად გლახა დარში და ზამთრობით.

29 იანვარს ერთი სამწუხარო ამბავიც მოხდა: აქაურს ს—მეს თავისისავე გაუფრთხილებლობით ხუთის წლის ქალი მდუღრით სახოდავად დაეფუფქა. სახოდავი თუმცა ჯერ ცოცხალია, მაგრამ ექიმის სიტყვით საშიშ მდგომარეობაშია. სასურველია, ეხლანდელმა დედებმა შეიგნონ ბავშვის მოვლა და იზრუნონ, გაუფრთხილდნენ, რომ ამნაირი უბედურება თავიდგან აიშორონ, მომეტებული ნაწილი უმაწვილის აღზრდა-მოვლის საქმეში დიდს გულცივობასა და დაუდევრობას იჩენს.

ნ. ჩ—ძე

---

# რუსეთი

—

სამოქალაქო დებულების შესამუშავებლად დაარსებულ სარედაქციო კომისიას პროექტი შეუდგენია სალიტერატურო, სამუსიკო და სახელოვნო ნაწარმოებებზედ ავტორთა უფლების შესახებ. პროექტის ძალით, ბევრი ცვლილება იქმნება თურმე შეტანილი აწ არსებულ კანონ-დებულებაში.

— სამხედრო სამინისტროს წინადადება შეაქვს სახელმწიფო საბჭოში, რომ ყოველგვარი მიწერ-მოწერა მემამულეებთან ჯარის-კაცთა გამოსაკვებად საჭირო ხორბლეულობის დაბარების შესახებ განთავისუფლებულ იქმნას გერბის გარდასახადისაგან.

— უმაღლესმა სასულიერო უწყებამ ნება დართო საეპარქიო სამოსწავლო საბჭოების განყოფილებას, თუ საჭიროება მოითხოვს განსაკუთრებული სასკოლო კომისია დააარსონ. კომისიაში მონაწილეობა უნდა მიიღონ განყოფილების თავმჯდომარემ, ხაზინადარმა და საქმის მწარმოებელმა და უნდა გაარჩიოს ყოველ გვარი საჩქარო საქმეები და ისეთები, რისთვისაც საჭირო არ არის განყოფილების ყველა წევრთა დასწრება.

— ამ დღეებში საერო განათლების სამინისტრომ განმარტა, რომ დაბალ სამინისტრო სასწავლებლებთან საჯარო წიგნთ-საცავების დასაარსებლად ყოველთვის ნება-რთვა უნდა იქმნეს აღებული. წიგნთ-საცავის დარბაზში წიგნის კითხვის ნება არავის არ უნდა მიეცეს, მხოლოდ სახლში საკითხავად უნდა ეძლეოდეთ წიგნები ისეთ დროს, როცა სასწავლებელში სწავლა შეჩერებულიაო.

---

# უცხოეთი

—

**ოსმალეთი.** გაზ. „Berl. Tag.“-ს ატყობინებენ კონსტანტინეპოლიდგან: „სულთანი ძალიან უკმაყოფილოა რუსეთის მოქმედებით კრიტის საქმეში. ამასთან სულთანი ისეა გაჯავრებული თავის მახლობლებზედ, რომ აღარავის აღარაფერს ანდობსო. მახლობელნი და მინისტრები, ჰგრძნობენ რა ამას, დიდს შიშში არიან. ჰფიქრობენ, რომ შეტაკება მოხდებაო. სულთანი უკმაყოფილოა აგრეთვე ავსტრი-ვენგრეთისა, რომელიც კრიტის საქმეში ისე მხარს არ მიჭერს, როგორც მოველოდითო“.

— ფრანგული გაზეთი „Rappel“-ი მოწინავე წერილში ამბობს: „საფრანგეთმა მთელი თავისი ყურადღება დრეიფუსის საქმეს-კი არა, კონსტანტინეპოლს უნდა მიაქციოს. რუსეთის დიპლომატია, მგონია, მიხვდა თავისს წინანდელს შეცდომას და ოსმალოსავლეთის საქმეში ეხლა სულ სხვა მოქმედების გზას დაადგა. რუსეთი უზარმაზარი სახელმწიფოა, იმასა აქვს დიდი ფლოტი, რომელსაც ყოველ დღე ამღიერებს, მაგრამ ამის მიუხედავად, იგი ხელ-ფეხ შეკრულია და არ შეუძლიან თავისი ფლოტი ამოქმედოს, რადგანაც გამოსასვლელი გზები შეკრული აქვს: ატლანტიის ოკეანეში—გერმანიის წყალობით, ხოლო ხმელთა შუა ზღვაში—ოსმალეთისა. რუსეთმა თავისი სამფლობელოები გააფართოვა ჩრდილოეთ და საშუალო აზიაში, მაგრამ აქაც წინ ოსმალეთი აეტუზა და საშუალო აზიიდგან ხმელთა შუა ზღვაში გასავალი გზა არ მისცა. ამ რიგად, როგორც ევროპასა, აგრეთვე აზიაში ოსმალეთი წინ ეღობება რუსეთს. რუსეთმა, ვერ მოახერხა რა, ევროპისა და განსაკუთრებით ინგლისის წყალობით, კონსტანტინეპოლის ხელში ჩაგდება, მხარი იბრუნა და სულ სხვა პოლიტიკას დაადგა: თავისი თავი ოსმალეთის იმპერიის მფარველად გამოაცხადა იმ იმედით, რომ ოსმალეთში სახელს გაითქვამ და სულთანის მეგობრობას და მადლობას მიიღებო. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ასეთის უპირატესობით, ოსმალეთ-საბერძნეთის ომის შემდეგ, სარგებლობდა გერმანია, რომლის ავიცერებმაც ომის ველზედ გაიყვანეს ოსმალეთის ჯარი და რომლის ზარბაზნებმაც უკუაგდეს ბერძნები“.

—

**საბერძნეთი.** კონსტანტინეპოლიდგან სწერენ გაზეთებს „Standard“ და „Daily Mail“-ს, რომ რუსეთმა, საფრანგეთმა და ინგლისმა გადასწყვიტეს თავმდებობა გაუწიონ საბერძნეთს სესხის აღების საქმეშიო. ამ სესხით გასტუმრებულ უნდა იქმნას ოსმალეთისათვის მისაცემი სამხედრო გადასახადი. ეს გარდაწყვეტილება ხსენებულ სახელმწიფოთ დეპეშით შეატყობინეს ჯერ საბერძნეთის და მერე ოსმალეთის მთავრობასაო.

—

**კრიტი.** კანეიდგან ატყობინებენ გაზ. „Times“, რომ კრიტის ზოგიერთ ოლქის მცხოვრებლნი მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში არიანო, ბევრს საჭმელი პური სრულიად აღარ მოეპოვებაო; მრავალნი სრულიად თავს ანებებენ კრიტს და სხვა ქვეყნებში მიდიან, რომ მშიერი არ დაიხოცნენ. ამას წინად რამდენიმე ასი ქალი და კაცი კანეიაში გამგზავრა, რომ იქიდგან საბერძნეთში წავიდეს; იმედი აქვთ იქ მაინც ვიშოვნით ლუკმა პურსაო.

—

**ოსმალეთი და საბერძნეთი.** ყველა ის თუ მართალია, რასაც თესალიიდგან ინგლისის გაზეთებსა სწერენ, თესალიაში ამ ჟამად ნამდვილი ბრძოლა ყოფილა გამართული. ამ გაზეთების სიტყვით, ოსმალეთის ჯარი უწყალოდ ანადგურებს თესალიის სოფლებს. ოსმალებმა დასწვეს სოფელი მოსაკიან, თავს დაესხნენ გრალიცს. მცხოვრებლებმა ჯერ წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ მალე იძულებული გახდნენ იარაღი დაეყარათ. მეორე რაზმი ზეიფულა-ფაშის წინამძღოლობით დაეცა სოფლებს პორტასა და გოლიცის. თუმცა მცხოვრებლებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს და ზიანიც მიაყენეს, მაგრამ ოსმალებმა მაინც აიღეს ეს სოფლები და დასწვეს. 120 კაცი ტყვეთ წაიყვანეს, დანარჩენნი მთაში გაიქცნენ. შეტაკება პალეოკასტრონის მახლობლადაც მოხდა. ყველა ამ ამბების გამო ოსმალეთის მოსაზღვრე თესალიის მცხოვრებლები დიდ შიშში არიანო.

---

## სასამართლოს მატიანე

ცრუ მოწმობა

(შემდეგი *)

სიტყვა ბრალმდებლის ამხანაგისა. ბ-ნნო მოსამართლენო! ბრალდებული ახვლედიანი სამართალში მიცემულ იქმნა იმიტომ, რომ ფიცის ქვეშ ცრუ ჩვენება მისცა. ბრალმდებლის საგანი რომ მარტო ამ ჩვენების სიცრუის დამტკიცება იყო, ჩემი საქმე ძალიან გაადვილდებოდა, მაგრამ ეს საგანი გაცილებით უფრო რთულია: იგი თხოულობს დამტკიცებულ იქმნან აგრეთვე ის მიზეზნი და გარემოებანი, რომლის დროსაც ჩვენება იქმნა ჩამორთმეული. ვიმეორებ: ბრალდებული სამართალში მიცემულ იქმნა სასჯელთა დებულების არა მე-236 მუხლის ძალით, რომელიც სჯის დამნაშავეს ფიცით ცრუ ჩვენების მიცემის გამო, არამედ სხვა მუხლის ძალითაც, რომლითაც სასჯელი ედება ბრალდებულს ფიცით ისეთის ცრუ ჩვენების მიცემის გამო, რომელიც სხვა კაცს ვნებას მოუტანს. უპირველეს ყოვლისა მე მოვიხსენიებ იმ გარემოებათ, რომელნიც ასაბუთებენ ბრალდებულის ახვლედიანის ცრუ ჩვენებას. როგორც პოლიციის გამოძიების ოქმიდგანა სჩანს, საქმის ვითარება ასეთი ყოფილა: პოლიცმეისტერს სვიმონოვს ობერ-კონდუქტორის ასათიანისაგან „ტფილისის“ სადგურზედ ყალბი სამ-მანეთიანი მიუღია. როდესაც ქუთაისში მისულა, სვიმონოვს წინადადება მიუცია ახვლედიანისათვის, ყალბის ფულის გამსაღებლების ძებნას შეუდექიო. ახვლედიანს მალე ალუსრულებია სვიმონოვის მინდობილება: გარდაუცია სვიმონოვისათვის ექვსი ყალბი ქაღალდის სამმანეთიანი, რომელიც ახვლედიანს დაფინე ჯოხაძისგან მიუღია. სვიმონოვის რჩევით ახვლედიანი მალე დაახლოვებია დაფინეს და აღმოუჩენია იმისს სახლში ყალბი ფულის არსებობა. დაფინეს ბეთ 500 მანეთი მოუთხოვნია, 3,000 მანეთს ყალბ ფულს გადმოგცემო. ახვლედიანს 200 მანეთი უშოვნია და იქიდგან დაფინესათვის მხოლოდ 30 მანეთი გარდაუცია. შემდეგ წერილები მიუღია და ბოლოს დაფინე ჯოხაძის სახლი გაუჩხრეკიათ. ასეთია ბრალდებულის ჩვენება, რომელიც პირველ გამოძიების დროს ჩამოართვეს. შეცვალა თუ არა მან თავისი ჩვენება, როდესაც დააფიცეს სასამართლოში? არა. იგივე ობერ-კონდუქტორი, იგივ ყალბი ბილეთი, იგივე დაბარება სვიმონოვის მიერ ახვლედიანისა და სხვა! მაგრამ საქმის შემდეგ გამოძიების დროს ბრალდებული თავისს ჩვენებას ასხვაფერებს. რამდენად მართალია ეს გადასხვაფერება, ამას შემდეგ ვიტყვი, ეხლა-კი მოგაგონებთ მხოლოდ, რომ სასამართლოს წინაშე მან სულ სხვანაირად აღნიშნა ის გარემოება, რომლების დროსაც ბრალდებულმა ჯერ ექვსი და შემდეგ 22 ყალბი მანეთიანი მიიღო. ეს კიდევ არაფერი, ამ გარემოებათა შესახებ სხვა-და-სხვაობა სვიმონოვის ჩვენებასაც ეტყობა, რომელიც სასამართლოში გამოტყდა, რომ ყალბი ფული ბრალდებულს ჩემს ქუთაისში მოსვლამდე ჰქონდაო. ბრალდებულმა ყველა ეს აღიარა, მაგრამ გასამართლებელი საბუთი ვერაფერი წარმოადგინა. მხოლოდ ისა სთქვა, რომ აღარ მახსოვს, დამავიწყდა რა ვთქვი პირველ გამოძიების დროსაო.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ივერია“ № 26.

## ნაკვესი

—

უმაწვილი კაცი შეეკითხა ახალგაზდა ქალს:

— ბ-ნო ანნა, რას ჩაფიქრებულხართ აგრე? ლამაზ და მშვენიერ საქმროს დარდში ხომ არა ხართ?

— ბ-ნო ივანე, თქვენი თავი ნურც აგრე ძალიან მოგწონთო, უპასუხა ქალმა.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

გერმანიის უნივერსიტეტებს მოელის დიდად მნიშვნელოვანი რეფორმა იმ მხრივ, რომ დედაკაცებს ნება მიეცეთ უნივერსიტეტებში სწავლისა ყველა ფაკულტეტებზე, ნება-რთვა უნივერსიტეტში შესვლისა დამოკიდებულია თვით უნივერსიტეტზედ. უნივერსიტეტში შესვლის ნება მიეცემა ყველას, მიუხედავად სქესისა და მხოლოდ იმის მიხედვით, გამოცდის დროს აღმოაჩნდა თუ არა უნივერსიტეტში შესვლის მსურველს ის ცოდნა, რომელიც საჭირო არის. 21 იანვრის (ახალის სტილით) კრების დროს შინაგან საქმეთა მინისტრმა პოსადოვსკიმ განაცხადა, რომ პრუსიის მთავრობა სრულიად არ იქმნება იმის წინააღმდეგი, რომ დედაკაცებს ნება მიეცეთ უნივერსიტეტში შესვლისა და ეს მხოლოდ უნივერსიტეტის საბჭოს ხელთ იქმნება. ამ გარდაწყვეტილებით გერმანელები ასცდნენ დედა-კაცებისთვის საჭირო აუდიტორიების და ცალკე შენობების აგებას.

* * *

შვეციელები ჰგზავნიან ექსპედიციას ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ ბ-ნ ნატგორსტის მეთაურობით. ნატგორსტს სრულებით იმედი არა აქვს, რომ ჩრდილოეთ პოლიუსთან ან ყინულებისაგან თავისუფალს ზღვას, ან ხმელეთს შევხვდებიო. ეს აზრი ბ-ნის ნატგორსტისა დამყარებულია იმ ამბებზედ, რომელიც მოუტანიათ უკანასკნელ ექსპედიციებიდგან დაბრუნებულ მოგზაურებს. თვით პოლიუსზე ყოფნას, ნატგორსტის აზრით, მხოლოდ მაშინ ექმნება მნიშვნელობა რამ, თუ ექსპედიციამ დიდ ხანს დაჰყო იქა და მეცნიერებისათვის საჭირო გამოკვლევა მოახდინა. ამ მხრივ პროექტი ანდრესი, რომელსაც იმედი ჰქონდა გადაფრენილიყო ჰაეროსტატით ჩრდილოეთის პოლიუსზედ, არავითარი მნიშვნელობა არ ექმნებოდა მეცნიერებისათვის. უმთავრესი ყურადღება ნატგორსტისა მიქცეული იქმნება ჩრდილოეთისაკენ მდებარე იმ ადგილების გამოკვლევისა, რომლებიც უკვე აღმოჩენილნი არიან. უნდა გამოიკვლიონ მცენარეობა, ცხოველები, გეოლოგია და პალეონტოლოგია შპიცბერგენისა, ფრანც იოსების მიწისა და სხვ. ნატგორსტის ექსპედიცია წავა შპიცბერგენზე 1898 წელს, ივნისში. იმავე წლის აგვისტოში იმედი აქვთ ცოტა კიდევ ჩრდილოეთისაკენ წავიდნენ და ყოველსავე თან წაიღებენ, რაც-კი საჭირო იქმნება აქ ზამთრის გატარებისათვის, თუ ვინიცობაა მთელს ზამთარს მოუხდათ იქ დარჩენა. ექსპედიციისათვის გადადებულია ასი ათასი ფრანკი.

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

(წერილი: მბ)

ხელთ-ნაწერი წიგნი (№ 76), რომლის შესახებ დღეს გვსურს საუბარი, არის უმშვენიერესი ძეგლი ჩვენის მწერლობა-ისტორიისა. იგია ხუცურად სქელ ქაღალდზედ დაწერილი ეგრედ წოდებული „დიდი სჯულის წიგნი“.

შინაარსი ძეგლისა: ა) შესავალი (გვ. 1—71), რომელიც შეიცავს წერილებს: განწესებანი ყოვლად წმ. მოციქულისა პავლესნი საეკკლესიო კანონთათვის (გვ. 1); განწესებანი წმ. მოციქულთა პეტრე და პავლესნი (გვ. 3); შეკრებაჲ კანონთა საეკკლესიოთაჲ, განყოფილი 14 ნაწილად (გვ. 7); შესავალი ზანდუკისა თავთაჲ (გვ. 10); თავი კანონებისა: 1-ლი ნაწილისა (გვ. 18), მეორესი (20), მესამესი (20); მეოთხესი (21), მეხუთესი (22), მეექვსესი (22), მეშვიდესი (22), მერვესი (23), მეცხრესი (24), მეათესი (27), მეთერთმეტესი (27), მეთორმეტესი (28), მეცამეტესი (29) და მეთოთხმეტესი (31); მაჩვენებელი კანონთა თავებისა (გვ. 32—70); ბ) კანონნი წმ. მოციქულთანი (71—86); გ) კანონნი ნიკეას კრებისანი (86—95); დ) კანონნი ანკვირიისანი (95—101), ე) კან. ნეოკესარიისანი (101), ვ) ანკვირიისანი (103), ზ) ანტიოქიისანი (108), ჱ) ლაოდიკია ფრიგიისანი (114), თ) კოსტანტინეპოლისანი (125), ი) ეფესოსანი (131), ია) ქალკიდონისანი (137), იბ) სარდიკიისანი (149), იგ) კართაგენისანი (161), იდ) კარქიდონისანი (183), იე) კოსტანტინეპოლისანი (252 და 255), ივ) ნიკიისანი (325, იზ) სხვა-და სხვა საკანონო წერილები და ეპისტოლენი (360—470), იჱ) ძეგლის წერაჲ წმიდისა და ღვთივ შეკრებულისა კრებისაჲ, რომელი შემოკრბა ბრძანებითა კეთილად მსახურისა და ღვთივ დაცვულისა მეფისა ჩუენისა დავით აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა მეფისასა—პირთათვის, რომელნი ქუემო მოკსენებულ არიან (გვ. 474—496); ით) კანონნი კართაგენისანი (496), კ) კანონნი ოთხშაბათ პარასკევთათვის (555), კა) ათანასეს განწესებათაგან (559), კბ) მამათა ნაწერთაგან (561), კგ) კანონნი ღამბრას შეკრებულთა მამათაგანი (574), კდ) კანონნი პეტრე ალექსანდრიელისანი (587), კე) კანონნი იოანე მმარხვენისანი (593), კვ) (მისნივე, გვ. 602), კზ) კანონნი დღითი-დღეთა ცოდვათანი (613).

რა დროს თარგმნილია ეს დიდი წიგნი?—მეზეის ტყავზედ ნაწერ წიგნიდგან (№ 96) სჩანს, რომ „წესი და განგებაჲ და რჩულის კანონი მექვსე მსოფლიო კრებისა“ უთარგმნია წმ. ეფთვიმე მთაწმინდელს († 1028 წ.) და გადუწერია ბასილი ექსტრატი მალუშისძეს 1031 წელს (იხ. ამ წიგნში გვ. პირველი და უკანასკნელი). აქედგან სჩანს, რომ „დიდი სჯულის წიგნის“ თარგმნა და შედგენა უნდა დასრულებულიყო მე-X—XI საუკუნეშივე.

რა დროს და ვის-მიერ გადაწერილია დღევანდელი ჩვენი სასაუბრო წიგნი? 559 გობადონზე, ტექსტისავე ხელით, სწერია: „პირველსა კრებასა შინა დიდის ათანასისაგან დადებულისა განწესებისაგან, რომელი ვპოვე ფრიად ძუელსა შინა მრგუალსა ეტრატისა წიგნსა,—ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი იოსებ“.

მარილაც, რომ ეს წიგნი, როგორც შენიშნავს თვით „ცოდვილი“ იოსებიც, უნდა გადმოწერილი იყოს არა უგვიანეს მე-XIII—XIV საუკუნისა. 389 გვ. არშიაზედ არის მხედრული წარწერა—ხელი ხსენებული საუკუნოებისა; 617 გვ. მხედრულადვე (ხვეულად) სწერია „ქ. შიო კათალიკოზი“ (1360—1374 წ.).

ამავე წიგნის სიძველესა და მის თავგადასავალს ნათელს ჰფენს აგრეთვე შემდეგი საყურადღებო წარწერა (მხედრულად 618 კ-ბად):

ქ. შემოგწირე მე ვახნაძემა როინის შვილმან ბოქაულთ უხუცესმა იორამ ესე წიგნი სჯულის კანონი თქუენ წმ. და ცათამობა ძავსა საყდარსა სუეტსა ღვთივ აღმართებულსა კვართსა სამეუფოსა და მირონსა წმ. სულისა ჩუენისა სახსრად და ჩუენთათჳს სადღეგრძელოდ:. მას ჟამსა:. როდეს მეფე ბატონი სუიმონ (1558—1600 წ.) ურუმთაგან დატყუევდა და ჩუენ ხუანთქართან ელჩად წავედით და ეს წიგნი დატყუევებული ვპოვეთ და დავიხსენით და ვიყიდეთ ოთხმოც ფლურად*):. მოვადინეთ და შევსწირეთ სუეტსა ცხოველსა ჩუენთვის სადღეგრძელოდ და სულისა ჩუენისა სახსრად. ღმერთო და სუეტო ღვთივ აღმართებულო შეიწირე ჩუენგან მცირე ესე შესაწირავი და ნუ დაგუსჯი დღესა მას განკითხვისა ჩუენისასა. ამინ.

მ. ჯანაშვილი

(დასასრული იქნება)

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

4 თებერვალი.

**პარიჟი.** სატეხნიკო სასწავლებლის პროფესსორმა გრილიომ, რომელმაც ხელი მოაწერა პეტიციას დრეიფუსის საქმის ხელ-ახლად გადასინჯვის შესახებ, სთქვა, რომ საქმის წარმოება სასამართლოში უცნაური და უწესო მეჩვენა: ექსპერტები შესცდნენ და შეაცდინეს მოსამართლენიცაო. გრილიომ დაუმატა, რომ თუმცა საიდუმლოდ იმუქრებიან, მაგრამ საჭიროა საქმე ხელ-ახლად იქმნას განხილული და ჩვენ ყოველს ღონეს ვიღონებთ, რომ ეს მოვახერხოთო. კრეპიემ დიდი უკმაყოფილება განაცხადა ტეისონიერის წინააღმდეგ, რომელმაც სთქვა, რომ კრეპიე ხალხის მოსყიდვას აპირებდაო, და დაუმატა, რომ ეს ნამდვილი რომანიაო. ტეისონიერმა შემატყობინა, რომ დრეიფუსი დამნაშავედ ცნობილ იქმნა ბერტილიონის მოხსენების ძალით-კი არა, ჩემის მოხსენების ძალითაო. მოწმემ დაუმატა, რომ კათოლიკე და ფრანგი ვარ, ჩემიხელობა კბილის ექიმობაა და არა ნაწერის ექსპერტობაო. შემდეგ მეიესს გამოჰკითხეს. Ecole des chartes დირექტორმა მეიესმა იმითი დაიწყო, რომ სარწმუნოებით კათოლიკე ვარო. მოწმე ამტკიცებდა, რომ ბორდეროს დაბეჭდილი ფაქსიმილეები ნამდვილია და შემცდარია პელიე, რომელიც ამტკიცებდა, რომ ეს ფაქსიმილეები ყალბიაო. მე ძალიან ვწუხვარ, სთქვა იმან, რომ ექსპერტიზა ბერტილიონს მიანდეს, რომლის წესსაც ნაწერების გამოკვლევისას სალი ჰკუა ვერ მოურიგდებაო. დასასრულ მეიესმა განაცხადა, რომ ესტერგაზის ხელი ძალიან ჰგავს იმ ხელს, რომლითაც ბორდერო არის დაწერილიო. ლაბორიმ მოითხოვა, ნება მომეცით შევეკითხო ექსპერტებს კუარის, ბელიომს და ვარინარსაო. თავმჯდომარემ უარი განუცხადა. College de France-ს პროფესორმა მოლინიემ სთქვა, რომ ესტერგაზის ხელი საშინლადა ჰგავს იმ ხელს, რომლითაც ბორდერო არის დაწერილიო.

ვექილი კლემონსო კითხულობს პასუხებს, რომელიც მიუცია ქ-ნ ბულანსის სასამართლოს გამომძიებელ ბერტიულიუსისთვის. ამ პასუხებიდგან სჩანს, რომ ქ-ნ ბულანსის აქვს რამდენიმე წერილი ესტერგაზის მიერ მასთან გაგზავნილი 1881 წლიდგან 1884 წლამდე. ესტერგაზი სთხოვდა ამ წერილების დაბრუნებას, მაგრამ ქ-ნმა ბულანსიმ უარი უთხრა, რადგანაც უნდოდა დაემტკიცებინა, რომ არავითარი სიყალბე არ ჩაუდენია. ლაბორიმ კერძო აზრი წარმოსთქვა და აღნიშნა, რომ ვიდრე ჩემს კითხვას განვმარტავდი, ამ კითხვის ნება არ მომცესო. სასამართლო გავიდა დარბაზიდგან და ცოტა ხნის შემდეგ დაადგინა, რომ სისხლის სამართალის კანონმდებლობის 1270 მუხლის ძალით თავმჯდომარე კარგად მოიქცა, როდესაც ლაბორის ნება არ მისცა კითხვების წარდგენისა, რომელიც მხოლოდ საქმის გარჩევას დააგვიანებსო. თავმჯდომარემ დასძინა: „ასე მოვიქცევით მუდამ, როცა ეცდებით არა საჭირო კითხვების წარმოდგენას: სასამართლო ყოველთვის უარს გეტყვის ამაზედ“. ლაბორიმ იკითხა: „მაშ მაგ დადგენილებას კანონის ძალა ჰქონია?“—„სწორედ ეგრეა“,—უპასუხა თავმჯდომარემ.

**პარიჟი.** ზოლას საქმე. გრიმომ თავისს ნათქვამს დასძინა, რომ ჩემის წინააღმდეგობისათვის სამსახურიდგან დათხოვნას მემუქრებოდნენო და დასასრულ განაცხადა, რომ მე მტკიცე მამულიშვილი ვარ და დიდად მიყვარს ჯარიო. (აღტაცებული ტაშის ცემა). College de France-ს პროფესორმა გავემ სთქვა, რომ მეც სხვებთან ერთად გამოვიკვლიე ბორდერო და დრეიფუსისა და ესტერგაზის წერილები. დრეიფუსის წერილი მაშინა ვნახე, როდესაც დრეიფუსს სასჯელი გადაწყვეტილი ჰქონდა კიდეც, და ხელი იმის წერისა სრულიად არა ჰგავს იმ ხელს, რომლითაც ბორდეროა დაწერილი. ამიტომ იმ აზრს დავადექი, რომ ბორდეროს ავტორი ესტერგაზი უნდა იყოს. სასამართლოს კრება ისე დაიშალა, რომ არა მომხდარა რა.

5 თებერვალი

**ნიუ-იორკი.** გაზეთებიდგან იუწყებიან, რომ ამერიკის გემს „მეგზედ“ აფეთქება მოხდაო. 200 კაცამდე მოკლულია. აფეთქების მიზეზი არ იციან. გემს ცეცხლი წაეკიდა და ჩაიძირა.

**პარიჟი.** სასამართლოს გარემემო და შესასვლელებში მშვიდობიანობაა. ზოლა 11-ნახევარ საათ. მოვიდა. არავითარი მანიფესტაცია არ მომხდარა. კრება 12 ს. 15 წ. დაიწყო. დარბაზი ხალხითაა გატენილი. დამცველებმა განაცხადეს, რომ არ გამოვკითხავთ იმ აფიცრებს, რომელნიც ესტერგაზის განსამართლების დროს სამხედრო სასამართლოს წევრებად იყვნენო. მათვე მოითხოვეს ბილიო დაიბაროთო. თავმჯდომარემ გენერალი პელიე გამოიხმო. პელიემ ბორდეროს ფაქსიმილეს შესახებ ილაპარაკა და სთქვა, რომ დამცველთ ექსპერტებს—მოყვარეთ უფრო დაუჯერეს, ვიდრე იმ ექსპერტებს, რომელთაც ორგინალი განიხილესო. პელიემ დაუმატა: „ძალიან ბევრი ილაპარაკეს იმ ხელის შესახებ, რომლითაც ბორდერო არის დაწერილი და ბორდეროს შინაარსის შესახებ-კი არაფერი სთქვესო“. პელიმ გაარჩია ბორდეროს შინაარსი და სთქვა: „მხოლოდ სამინისტროში მოსამსახურე არტილერიის აფიცერს თუ ეცოდინებოდა ის ფაქტები, რომლებიც ბორდეროში არიან ჩამოთვლილნი. ქვეითა ჯარის აფიცერს არ შეეძლო ბორდეროს დაწერაო“. დასასრულ პელიემ სთქვა: „მე ვამბობ, რომ დანაშაულობაა—ჯარს უფროსების მიმართ ნდობა წაართვათ, იმიტომ, რომ თუ უფროსები მოკლებულნი იქმნებიან თავინთ ჯარის-კაცების ნდობას, მაშინ რა უნდა ჰქმნან ამ უფროსებმა განსაცდელის დღეს, რომელიც გაცილებით ახლოა ვიდრე ამას ზოგიერთნი ჰფიქრობენ (აღელვებაა). იქნებ ჩემი სიტყვები გაზვიადებულად ჩასთვალოთ?.. მაშინ, ბატონო მსაჯულნო, თქვენს შვილებს საყასბოზედ წაიყვანენ! (ხანგრძლივი მოძრაობაა). მაშინ ზოლა ახალს ბრძოლას მოიგებს და წარუდგენს ევროპას თავისს გამარჯვებათ, იმ ევროპას, რომლის პირიდგანაც საფრანგეთი ამოშლილი იქმნება. (საშინელი აღელვებაა). ჩვენ დიდად ბედნიერნი ვიქმნებით, რომ დრეიფუსი გამართლდეს: ეს დაამტკიცებს, რომ ჯარში არავინ ყოფილა მოღალატე, რომლის გამოც შავებს ვატარებდით“ (ტაშის ცემაა). პრეზიდენტმა ნება არ მისცა ლაბორის პელიესთვის ეპასუხნა. ლაბორიმ მსაჯულთ მიჰმართა და წინააღმდეგობა განაცხადა დამცველთ უფლებათა შეზღუდვის გამო. შემდეგ ლაბორიმ განმარტა ის თუ რა შეხედულებისა უნდა იყვეს კაცი პატრიოტობაზედ. პრეზიდენტმა შეაჩერა. პელიემ მიუგო, ვიდრე საქმე არ გამოირკვევა, კამათი უნდა იქმნესო; შეიძლება კამათი ექვს თვესაც გაგრძელდესო. სასამართლომ უარ ჰყო ლაბორის აზრი. ლაბორის სურვილით, კაცი გაგზავნეს პიკარის მოსაყვანად. შეერკესტნერმა, პიკარის მოსვლამდე, აღნიშნა ტეისონიერის ჩვენებში ზოგიერთის ადგილის უსაბუთობა.

**ვაშინგტონი.** როგორც „მეგის“ კაპიტანი იუწყება, დაიღუპა 236 ჯარის-კაცი და 2 აფიცერი.

პეტერბურგის ბირჟა, 3 თებერვალი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . . | „ — | — „ | — „ |
| 5%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | „ — | — „ | 219 |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | „ — | — „ | 100⅜ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 102 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 100 | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | 102 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 100 | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | 100 | — „ | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | „ — | — „ | 284½ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი | „ — | — „ | 262½ |

*) ფლური=140 კაპიკი.


## განცხადებანი

## ვყიდულობ

ყოველ გვარს ძველებურს ნივთებს სპილენძისასა, თითბრისასა, ვერცხლისასა, ოქროსასა, ძველთა დროს ხელოვნურად მინანქრით ნამუშევარა და აგრეთვე ოქრომკედით ნაკერუელობასა.

ფოტოგრაფი ა. ს. როინაშვილი.

(წ.)


Дозволено цензурою, Тифлисъ 5-го Февраля 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.